

**ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას ახალი მონაკვეთის მშენებლობის დეტალური
პროექტის (E60 მაგისტრალი), სატენდერო დოკუმენტაციის, გარემოზე
ზემოქმედების შეფასების და მიწის შესყიდვის დეტალური გეგმის მომზადების
პროექტის
მონაკვეთი F4-ის (ქვ.წევა-არგვეთა) მშენებლობა-ექსპლოატაციის პროექტის გარემოზე
ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა**

სხდომის ოქმი

ქ. ზესტაფონი

17.01.2018

სხდომის თავმჯდომარე: ზურაბ მაგლობლიშვილი, შპს გამა კონსალტინგის დირექტორი
სხდომის მდივანი: ელენე მაგლობლიშვილი, შპს გამა კონსალტინგის სოციალური
საკითხების სპეციალისტი

2018 წლის 17 იანვარს ქ. ზესტაფონის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში გაიმართა ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას ახალი გზის ქვ.წევა-არგვეთას მონაკვეთის მშენებლობა-ექსპლოატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა

შეხვედრას ესწრებოდნენ: საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის წარმომადგენლები, ქ. ზესტაფონის მერიის, საკრებულოს და მოსახლეობის წარმომადგენლები (დამსწრეთა სიის ასლი თან ერთვის ოქმს).

მომხსენებელმა (ზურაბ მაგლობლიშვილმა) მიმოიხილა დაგეგმილი საქმიანობის ძირითადი ასპექტები. როგორც მან აღნიშნა, პროექტი წარმოადგენს საქართველოს მთავრობის მიერ დასახული ქვეყნის ძირითადი საავტომობილო გზების მოდერნიზაციის პროგრამის ერთერთ შემადგენელ ნაწილს. პროგრამა ხორციელდება საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელობით. პროგრამის მიზანია მეზობელ ქვეყნებთან სატრანსპორტო მოძრაობისა და ტვირთების გადაზიდვის მდგომარეობის გაუმჯობესება, რომელიც წარმოადგენს მშპ-ში მნიშვნელოვან და მზარდ წვლილის შემტანს

ზ. მაგლობლიშვილმა დამსწრე საზოგადოებას დაწვრილებით გააცნო პროექტის გეგმა, მიმოიხილა საპროექტო მონაკვეთის განთავსების ადგილის და მიმდებარე ტერიტორიის ბუნებრივი და სოციალური გარემოს ფონური მდგომარეობა და სენსიტიური რეცეპტორები, რომელთაგან განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ისეთ საკითხებზე, როგორცაა: ბიომრავალფეროვნება, საქართველოს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები და პროექტის გავლენის ზონაში მდებარე კერძოდ მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები, კულტურული მემკვიდრეობა. საუბარი ასევე შეეხო ხმაურით და ვიბრაციით გამოწვეულ ზემოქმედებას მოსახლეობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მოსამზადებელი, მშენებლობის და ექსპლოატაციის პროცესში მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედებისთვის განისაზღვრა შემარბილებელი ღონისძიებები და აღნიშნა, რომ გზმ-ის ანგარიშში მოცემული შემარბილებელი

ღონისძიებები შესრულების და სისტემატური მონიტორინგის პირობებში, ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოსალოდნელია არ არის.

პრევენტივის შემდეგ გაიმართა დისკუსია. მომხსენებელმა და საგზაო დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, მათი კომპეტენციის ფარგლებში პასუხი გასცეს დამსწრეთა შეკითხვებს.

გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომენტარები პროექტზე, შეხვედრაზე დასმული შეკითხვები და შესაბამისი პასუხები მოცემულია ოქმის დანართში.

საჯარო განხილვის ამსახველი ფოტო მასალა ოქმს თან ერთვის.

სხდომის თავჯდომარე:

ზურაბ მგალობლიშვილი

სხდომის მდივანი :

ელენე მგალობლიშვილი

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს
გარემოზე ზემოქმედების

ნებართვების დეპარტამენტის ნებართვების

სამმართველოს მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი:

ირაკლი ფირცხალაიშვილი

დანართი 1

ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას ახალი გზის ქვ.წევა-არგვეთას მონაკვეთის მშენებლობა-ექპლოატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის პერიოდში შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

#	შენიშვნა/შეკითხვა/კომენტარი	პასუხი
1.	ექსპერტიზაზე წარსადგენი გზშ-ს ანგარიშში მითითებული საკანონმდებლო ბაზა უნდა მოიცავდეს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების განახლებულ კოდიფიცირებულ ვერსიებს, ყველა მოქმედი ცვლილების გათვალისწინებით.	შენიშვნა გათვალისწინებულია
2.	თანდართული დოკუმენტებით და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში არსებული ინფორმაციის, ნაწილობრივ მოიცავს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით გაცემული ლიცენზიების (ლიც. 1002650 ფ/პ გურამ ფერაძე, მიწისქვეშა მტკნარი წყალი, გაიცა 2015 წელს ოცდახუთი წლის ვადით; ლიც 1005661 ფ/პ ვახტანგ ყანჩაველი, ქვიშა-ხრეში, გაიცა 2017 წელს ორი წლის ვადით), სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების მიზნით გასკვნა მომზადებული ობიექტისა (40881_2017მ ტექნოგენური ნარჩენი) და სალიცენზიო განაცხადის (41582)_2017, ქვიშა-ხრეში) კონტურებს. 'წიაღის შესახებ' საქართველოს კანონის მე-8 მუხლის პირველი პუნქტის მოხედვით, რომელიც არეგულირებს წიაღის ფონდის მიწების გასხვისების საკითხებს, განსაზღვრულია, რომ 'აკრძალულია წიაღის ფონდის მიწების საკუთრების უფლებით, იჯარით ან სხვა ფორმით გაცემა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოსთან შეთანხმების, ხოლო ლიცენზირებული ობიექტების შემთხვევაში - აგრეთვე ლიცენზიის მფლობელთან შეთანხმების გარეშე'. გარდა ამისა, გაცნობებთ, რომ აღნიშნული სალიცენზიო ობიექტებთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაცია გეცნობებათ მოგვიანებით;	პროექტის განმახორციელებელი გაითვალისწინებს აღნიშნულ საკითხს.
3.	გზშ ანგარიშზე თანდართული შეიპ ფაილების მიხედვით,1231624 კვ.მ-დან 'სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ' საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს 299 დადგენილებით დამტკიცებული ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით 67837 კვ.მ ფართობი მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვის დაქვემდებარებულ ტყის ფონდში, კერძოდ, ზესტაფონი-ხარაგაულის სატყეო უბნის საწაბლეს სატყეოში. სახელმწიფო ტყის ფონდის	ტაქსაციის ანგარიში მომზადდა გზშ-ს ანგარიშის სამუშაო ვერსიის გასაჯაროების შემდეგ. შესაბამისად, ვერ იქნებოდა ასახული ანგარიშის თქვენს მიერ განხილულ ვერსიაში. ინფორმაცია საპროექტო დერეფანში ჩატარებული ტაქსაციის შესახებ ექსპერტიზაზე წარსადგენ გზშ-ს ანგარიშს თან ერთვის (იხილეთ დანართი 5). საკითხი შეთანხმებულია სატყეო ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანიზაციასთან.

	ტერიტორიაზე საქმიანობა საჭიროებს შეთანხმებას ტყის ფონდის მართვის უფლების მქონე ორგანიზაციასთან;	
4.	<p>გზმ-ს ალტერნატიული ვარიანტების განხილვა წარმოდგენილია პროექტის აღწერის პარაგრაფში, ხოლო უპირატესი ვარიანტების შერჩევის სქემები წარმოდგენილია ცალკე პარაგრაფში. რაც შეეხება საპროექტო მონაკვეთის ალტერნატივებს, მოცემულია 2 ალტერნატივა: რიკოთის გვირაბის დასავლეთი პორტალი-შორაპანი და შორაპანი არგვეთას აღწერა, რომელიც არ წარმოადგენს უშუალოდ საპროექტო მონაკვეთს (ქვედა წევა-არგვეთა) შესაბამისად, ალტერნატიული ვარიანტების შესახებ ინფორმაცია მოითხოვს დაზუსტებას. აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშში საპროექტო მონაკვეთის ალტერნატიული ვარიანტების განხილვა წარმოდგენილი უნდა იყოს დეტალურად, ერთ პარაგრაფში. უპირატესი ვარიანტის შერჩევა უნდა მოხდეს ძირითადად გარემოსდაცვითი კუთხით;</p>	<p>ვინაიდან პროექტი წარმოადგენს ხევი არგვეთას ერთერთ კომპონენტს, გზმ-ს ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია მთლიანად პროექტის, მათ შორის საპროექტო მონაკვეთის შესახებ. ვინაიდან პროექტის სათაურია 'ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას' ახალი მონაკვეთის მშენებლობის დეტალური პროექტის (E60 მაგისტრალი), სატენდერო დოკუმენტაციის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების და მიწის შესყიდვის დეტალური გეგმის მომზადება', ხოლო გზმ-ს ანგარიშის სათაურში დაკონკრეტებულია, რომ შეფასება ეხება მხოლოდ ე.წ. მონაკვეთ F4-ს (ქვ.წევა-არგვეთა), ანგარიშის ტექსტურ ნაწილში დაფიქსირდა შორაპანი-არგვეთა.</p> <p>შენიშვნის საპასუხოდ, ტექსტში შეტანილ იქნა შესაბამისი დაზუსტება. გზმ-ს ანგარიშის თავში 2 მოცემულია ყველა ალტერნატივის და საპროექტო პარამეტრების/ გადაწყვეტილებების აღწერა. პრიორიტეტულის შერჩევა ხდება განხილული ალტერნატივების სხვადასხვა რეცეპტორზე ზემოქმედების შეფასების საფუძველზე (იხილეთ თავში 6). შედარების შედეგი მოცემულია თავში 7</p>
5.	<p>გზმ-ს ანგარიშში მითითებულია, რომ ალტერნატიული გზის მონაკვეთი იწყება რიკოთის აღმოსავლეთ პორტალთან და მთავრდება სოფ.არგვეთასთან. მონაკვეთი მოიცავს სამ ქვემონაკვეთს. პროექტში კი მხოლოდ 2 ქვემონაკვეთია მითითებული. გარდა ამისა, სამინისტროში წინამდებარე გზმ-ს ანგარიშთან ერთად საჯარო განხილვის მიზნით წარმოდგენილია კიდევ 3 ანგარიში (F1, F2, F3 ლოტები).</p> <p>ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშში უნდა მიეთითოს დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო გზის მონაკვეთების შესახებ.</p> <p>რაც შეეხება წარმოდგენილ F4 ლოტს, გზმ-ს ანგარიშში მოცემული უნდა იქნეს საპროექტო უბნის დეტალური, დაზუსტებული აღწერა. ვინაიდან წარმოდგენილი მონაკვეთის საწყისი უბნის დასახელება 'ქვედა წევა' ტექსტში მოხსენიებულია სულ რაღაც 3-ჯერ და ინფორმაციას არ იძლევა საპროექტო უბნის შესახებ;</p>	<p>განსახილველი პროექტი წარმოადგენს ხევი არგვეთას გზის ერთერთ კომპონენტს, გზმ-ს ანგარიშში მოცემულია ინფორმაცია მთლიანად ამ მონაკვეთის, მათ შორის საპროექტო უბნის შესახებ. რადგან პროექტის სათაურია 'ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას' ახალი მონაკვეთის მშენებლობის დეტალური პროექტის (E60 მაგისტრალი), სატენდერო დოკუმენტაციის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების და მიწის შესყიდვის დეტალური გეგმის მომზადება' საერთო სათაურთან შესაბამისობისთვის, საპროექტო მონაკვეთად ტექსტში აღნიშნულია შორაპანი-არგვეთა. სინამდვილეში, წარმოდგენილი ანგარიში ეხება მხოლოდ ე.წ. მონაკვეთს F4, რომელიც იწყება ქვ.წევასთან და მთავრდება სოფ.არგვეთასთან მშენებარე კვანძთან.</p> <p>როგორც საავტომობილო გზების დეპარტამენტიდან გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობაში შემოსული ინფორმაციიდან იცით, ნავარაუდევია რიკოთის გვირაბის სამხრეთი პორტალიდან არგვეთამდე გზის მშენებლობა. 2014 წელს კორეული კომპანია PYUNGHWA ENGINEERING CONSULTANTS LTD. (PEC) მომზადდა ზემო ოსიაური-არგვეთას გზის ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება, განისაზღვრა საპროექტო დერეფანი. 2015 წელს ჩატარდა ზემო ოსიაური-ჩუმათელეთის მონაკვეთის გარემოზე</p>

		<p>ზემოქმედების შეფასება, პროექტზე გაიცა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა, ამჟამად მიმდინარეობს სამშენებლო სამუშაოები.</p> <p>ჩუმათელეთი-არგვეთას დარჩენილი მონაკვეთი გაიყო ორ ძირითად სექციად:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ჩუმათელეთი-ხევი (F1) - 11.2 კმ 2. ხევი-არგვეთა - 41.8კმ. ხოლო პროექტირების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების და ტენდერის/მშენებლობის მიზნით ეს მონაკვეთი, თავის მხრივ, სამ ნაწილად გაიყო - ხევი-უბისა (F2); უბისა-შოროპანი (F3); შოროპანი-არგვეთა (F4) <p>განსახილველად წარმოდგენილი ანგარიშში მოცემულია მხოლოდ ხევი-არგვეთას F4 მონაკვეთის გარემოზე ზემოქმედების შეფასება.</p> <p>რაც შეეხება ტექსტში აღნიშნულ ორ მონაკვეთს ის გულისხმობს საპროექტო გზის ზემოხსენებულ ორ ძირითად სექციას.</p> <p>ზემოაღნიშნულის აღნიშნულის გათვალისწინებ-ბით და შენიშვნის საპასუხოდ, მკითხველის დაბნეულობის თავიდან ასაცილებლად, ტექსტში შეტანილ იქნა შესაბამისი დაზუსტება.</p>
6.	<p>გზშ-ს ანგარიშის მიხედვით საპროექტო მონაკვეთზე იგეგმება 20 -მდე ხიდის და 6 ორმაგი გვირაბის მშენებლობა. ანგარიშშივე არის მითითებული, რომ ტერიტორია რთული გეოლოგიური პირობებით ხასიათდება. აღნიშნულის მიუხედავად არ არის ჩატარებული და წარმოდგენილი დეტალური საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური კვლევები. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკითხის შესწავლისა და გადაწყვეტილების მიღების მიზნით აუცილებელია ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშს თან ერთვის საინჟინრო-გეოლოგიური და ჰიდროგეოლოგიური დეტალური კვლევები;</p>	<p>საპროექტო ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევების შესახებ ინფორმაცია ანგარიშს ერთვის (იხილეთ დანართი 4).</p>
7.	<p>გზშ-ს ანგარიშის გეოლოგიურ ნაწილში საკითხები უნდა იყოს მოცემული ქვეთავების მიხედვით შემდეგი თანმიმდევრობით: 1) რელიეფი (გეომორფოლოგია); 2) გეოლოგიური აგებულება, ტექტონიკა, სეისმური პირობები; 3) ჰიდროგეოლოგიური პირობები; 4) საინჟინრო - გეოლოგიური პირობები; 5) საშიში გეოლოგიური პროცესების (არსებობის შემთხვევაში) შეფასება, შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით;</p>	<p>დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დანართი 4</p>
8.	<p>გეომორფოლოგია და რელიეფი წარმოდგენილია ცალ-ცალკე ქვეთავებად (5.4; 5.5)მ რაც შინაარსობრივად ერთი და იგივეა. გეომორფოლოგია უნდა</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია</p>

	<p>იყოს გამოყოფილი გეოლოგიური პირობების ქვეთავიდან და წარმოდგენილი იქნეს ცალკე ქვეთავად;</p>	
<p>9.</p>	<p>გზშ-ს ანგარიშში საპროექტო ტერიტორიის გეოლოგიური გარემოს შესწავლა არადაამაკმაყოფილებელია, ვინაიდან: მასში არასათანადოაა განხილული გეოდინამიკური პროცესები და მოვლენები, რომლისგანაც მოსალოდნელია საფრთხეების წარმოქმნა;</p> <p>არ არის წარმოდგენილი გეოდინამიკური პროცესების გავრცელების რუკა;</p> <p>არ არის წარმოდგენილი სენსიტიური უბნების ჭრილები;</p> <p>არ არის წარმოდგენილი ტრასის მშენებლობის შედეგად ამ უბნებზე ზემოქმედების შეფასების მონაცემები;</p> <p>არ არის წარმოდგენილი გრაფიკული მასალა.</p> <p>გზშ-ს ანგარიშში მოცემული გეოლოგიური აღწერილობა ძალზე ზოგადია, საერთო რეგიონული ხასიათისაა და გეოლოგიური გარემოს რეცეპტორებზე ზემოქმედების დასახასიათებლად არ გამოდგება. აგრეთვე გვ.69-ში მითითებულია ორი მეწყრული სხეულის შესახებ, რომლებიც სამშენებლო დერეფანშია მოქცეული, მაგრამ, შემდეგ, მათზე საერთოდ არაფერია ნათქვამი.</p> <p>გარდა ამისა, გზშ-ს ანგარიშში არ არის შეფასებული გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება, მათ შორის ფერდობებზე გეოდინამიკური პროცესების განვითარების შესაძლებლობა შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებებით. არ არის წარმოდგენილი ტრასის გასწვრივ არსებული გეოდინამიკური საფრთხეების შესწავლა და მათზე ზემოქმედების შედეგად გაზრდილი რისკების შეფასება. ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში, გეოლოგიური გარემოს შესახებ ზემოაღნიშნული ინფორმაცია მოცემული უნდა იყოს სრულად;</p> <p><u>ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება არადაამაკმაყოფილებელია ვინაიდან მასში არ არის გამოყოფილი გეოლოგიურ გარემოზე ზემოქმედების ძირითადი რეცეპტორები, არ არის აღწერილი ზემოქმედების სახეები, არ არის შეფასებული ზემოქმედების ხარისხი და ხანგრძლივობა, რის გამოც შერეული შემარბილებელი ღონისძიებები რეალობას მოკლებულია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გზშ-ს ანგარიშის გეოლოგიური ნაწილი მოითხოვს დამატების შესწავლასა და შესწავლის მასალაზე</u></p>	<p>დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ძირითადი ანგარიშის ტექსტი და დანართი 4</p>

	<u>დაყრდნობით გადამუშავებას.</u>	
10.	გზმ-ს ანგარიშში მითითებულია, რომ საპროექტო ტრასაზე 'ხიდების ჯამური რაოდენობა იქნება 10-15 თბილისი-არგვეთას გზაზე და 5 არგვეთა-თბილისის გზაზე'. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზმ-ს ანგარიშში უნდა მიეთითოს დაზუსტებული ინფორმაცია საპროექტო უბანზე განსათავსებელი ხიდების, გვირაბების და სატრანსპორტო კვანძების შესახებ;	შენიშვნა გათვალისწინებულია.
11.	სტიქიური გეოლოგიური პროცესების დაზიანებადობა და საშიშროების რისკი'-ს ცხრ. 32-ში შეტანილია წყალდიდობა და თოვლის ზვავი, რომლებიც არ წარმოადგენენ გეოლოგიური პროცესებს. შესაბამისად აღნიშნული უნდა შესწორდეს;	შენიშვნა გათვალისწინებულია
12.	გზმ-ს ანგარიშში, ცხრ. 32-ში 'სტიქიური გეოლოგიური პროცესების დაზიანებადობა და საშიშროების რისკი'- შკალის (0 დან 1მდე) მიხედვით შეფასებული მონაცემები არ შეიძლება იყოს საიმედო. კერძოს წყალდიდობის და ეროზიის რისკები, ჩვენი აზრით უფრო დიდია. ამიტომ ასეთი სენსიტიური ფერდობებისთვის საჭიროა ეროზიული პროცესების რაოდენობრივი პროგნოზული, რაოდენობრივი სიდიდეების დადგენა, რათა შემდგომში დაიგეგმოს ეროზიისა და ღვარცოფის საწინააღმდეგო შესაბამისი ღონისძიებები;	ტექსტში გამოყენებულია USAID ანგარიში - 'კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის გზამკვლევი' (2016) მოცემული ინფორმაცია. სხვა ავტორებთან ერთად ანგარიშის ციტირებულ თავზე მუშაობდნენ: მერაბ გაფრინდაშვილი, გარემოს ეროვნული სააგენტო; ემილ წერეთელი, გეოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, გარემოს ეროვნული სააგენტო; ირაკლი მეგრელიძე, გარემოს ეროვნული სააგენტო; გიორგი ლომინაძე, გეოგრაფიის აკადემიური დოქტორი, თსუ ვახუშტი ბაგრატიონის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი. პროექტისთვის ჩატარებული კვლევების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში 4.
13.	ჰიდროლოგიის ქვეთავში მითითებულია, რომ წყლის მაქსიმალური ხარჯები გამოთვლილ იქნე ემპირიულ-რეგიონული ფორმულით (დამოკიდებულებები), თუმცა არ არის მითითებული რომლით. იგივე შეიძლება ითქვას ცხრილ 35-ზე, სადაც მითითებულია, რომ მცირე მდინარეებისთვის (აღბათ მცირე წყალშემკრები აუზის მქონე მდინარეების) მაქსიმალური ჩამონადენის სიდიდეების დათვლილი (აღბათ გამოთვლილი) იქნა 'სხვადასხვა მეთოდით'. აღნიშნულიდან გამომდინარე, ანგარიშში უნდა იყოს მითითებული თუ რომელი მეთოდით იქნა გამოთვლილი აღნიშნული სიდიდეები;	შენიშვნის საპასუხოდ ანგარიშს დანართის სახით დაემატა ინფორმაცია ჰიდროლოგიური გათვლების შესახებ.
14.	ჰიდროლოგიური ნაწილში არ არის დაზუსტებული მდინარეებსა და ხეობებზე მოსალოდნელი მაქსიმალური ხარჯების პროგნოზული მაჩვენებლები. ასევე არ არის მითითებული მეთოდიკა, რომლის მიხედვითაც მოხდა ხარჯების გამოთვლა;	

15.	გზმ-ს ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია მდინარეების ნაპირების სენსიტიურ უბნებზე და ნაპირდაცვის ღონისძიებებზე;	ასეთი უბნები დაფიქსირებული არ არის
16.	გზმ-ს ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია კალაპოტურ პროცესებზე და გამრეცხ სიჩქარეებზე. აგრეთვე, არ არის მოცემული მდინარეთა ზოგადი გარეცხვის სიღრმეების შესახებ ინფორმაცია;	შენიშვნა გათვალისწინებულია. იხილეთ გზმ-ს ანგარიშის ტექსტი (პროექტის აღწერა, ხიდების ნაწილი)
17.	მშრალ ხევებზე სხვადასხვა კვეთებში გათვალისწინებულის ჰიდროტექნიკური ნაგებობების მშენებლობა, თუმცა არ არის წარმოდგენილი მდინარის ხარჯები. შესაბამისად, ექსპერტიზაზე წარმოსადგენ გზმ-ს ანგარიშში უნდა აისახოს მითითებული ინფორმაცია;	
18.	გზმ-ს ანგარიშში არ არის მოცემული ქარის მრავალწლიური საშუალო სიჩქარეების სიდიდეები თვეების მიხედვით და წლიური საშუალო მნიშვნელობა;	ინფორმაცია ქარის შესახებ მოცემულია ცხრილებში 19-21
19.	გზმ-ს ანგარიშის კლიმატურ ნაწილში მოცემულია პარაგრაფი 'კლიმატის ცვლილება', თუმცა არ არის მითითებული ის ინფორმაციის წყაროები, რის საფუძველზეც იქნა აღწერილი კლიმატური ცვლილებების მახასიათებლები. შესაბამისად, ანგარიშში უნდა აისახოს შესაბამისი ინფორმაცია;	გამოყენებულია საქართველოს მესამე ეროვნული შეტყობინება გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მიმართ. წყარო მითითებულია ლიტერატურის ჩამონათვალში.
20.	გზმ-ს ანგარიშის ექსპერტიზაზე წარდგენამდე, უნდა ჩატარდეს მშენებლობისწინა ბოტანიკური კვლევები, რომლის დროსაც დამატებით გამოვლინდება მაღალი საკონსერვაციო ღირებულების მქონე სახეობების პოპულაციები და მოხდება არსებული ინფორმაციის შევსება. არსებულ მასალებთან შეჯერებით დადგინდება პროექტის მშენებლობის უარყოფითი ზემოქმედება არსებული ტერიტორიის ფლორასა და მცენარეულობაზე. მიღებული შედეგებით უნდა მოხდეს ნებისმიერ სახის საკონსერვაციო და საკომპენსაციო ღონისძიებების საბოლოოდ იდენტიფიცირება და შესაბამისი ბიოაღდგენის სპეციფიკაციების და საკომპენსაციო გეგმების, აგრეთვე ბიომრავალფეროვნების ბოტანიკური კომპონენტების მონიტორინგის გეგმის შემუშავება. აგრეთვე უნდა შემუშავდეს ფლორის იშვიათი სახეობების კონსერვაციის პროგრამაც, რომელიც მოიცავდეს იქნება როგორც ახლად აღწერილი სახეობების, ასევე უკვე შესწავლილ ზოგიერთ იშვიათ სახეობას;	გზმ-ს ანგარიშში მოცემულია საპროექტო დერეფნის აღწერა სავლე კვლევების და ლიტერატურული მონაცემების საფუძველზე, ჩატარებულია ტაქსაცია, კერძო ნაკვეთებში არსებული ხეები აღრიცხულია და ასახული განსახლების სამოქმედო გეგმაში. ანგარიშში შეფასებულია პროექტის ზემოქმედება გარემოზე მოსამზადებელ, მშენებლობის და ექსპლოატაციის ეტაპებზე. შემუშავებულია შემარბილებელი ღონისძიებები, განსაზღვრულია მონიტორინგი. კონტრაქტორის მიერ მომზადდება პროექტის საჭიროებისთვის დროებით გამოყენებული, დარღვეული ტერიტორიების რეკულტივაციის გეგმა (გეგმა შეთანხმდება გარემოს დაცვის უწყებასთან). ამ ეტაპზე რაიმე დამატებითი კვლევების ჩატარება მიზანშეწონილად არ მიგვაჩნია.
21.	ვინაიდან გზმ-ს ანგარიშში ტყის ჰაბიტატებთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ ტყიან ტერიტორიაზე პრაქტიკულად შეუძლებელია ადრინდელი ბუნებრივი კორომების აღდგენა და შენარჩუნება იმ სახით, როგორც იყო მშენებლობამდე. ამიტომ, ასეთ შემთხვევებში უნდა	ტექსტში აღნიშნულია, რომ ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგად წლების მანძილზე ტყის საფარის მდგომარეობა შეცვლილია. ექვსი განხილული ჰაბიტატის ტიპიდან 4 შეფასდა როგორც დაბალი; ერთი როგორც საშუალო და ერთიც - მაღალი საკონსერვაციო ღირებულები.

	<p>დაიგეგმოს ოფსეტური ანუ ეკო-საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელება, რაც გულისხმობს ექვივალენტური ტყის ჰაბიტატების აღდგენას. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს წითელი ნუსხის სახეობებს. საკომპენსაციო ტერიტორია უნდა შეირეს პროექტის განხორციელების არეალთან ახლოს, ან უნდა მოხდეს ფულადი სახით კომპენსაცია კანონმდებლობის შესაბამისად.</p>	<p>პროექტის განხორციელების შედეგად ჰაბიტატების განადგურებას ადგილი არ ექნება. მცენარეულ საფარზე ზემოქმედების შესამცირებლად განსაზღვრულია შემარბილებელი ღონისძიებების გატარება. დაცული სახეობებისთვის - გარდა ფულადი კომპენსაციისა შესაძლებლობისდაგვარად რეკომენდებულია 8სმ-ზე ნაკლები დიამეტრის ხეების პროექტის დერეფნის გარეთ გადარგვა. სამუშაო უნდა შესრულდეს შესაბამისი სპეციალისტების მეთვალყურეობით და გადარგვის დროის შერჩევით (უმჯობესია გვიან შემოდგომაზე-ზამთრის პერიოდში).</p>
22.	<p>მცენარეული საფარის/ფლორის ქვეთავში (5.11.1) მითითებულია, რომ დაცული სახეობებიდან გავრცელებულია კაკლის ხე და ძელქვა. მცენარეულ საფარზე ზემოქმედების ქვეთავში (6.5.1) კი - კაკლის ხე, წაბლის და უთხოვარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, გზშ-ს ანგარიშის ექსპერტიზაზე წარმოდგენამდე, უნდა ჩატარდეს ჭრას დაქვემდებარებული მცენარეების სახეობრივი შემადგენლობის და მახასიათებლების დეტალური კვლევა (ტაქსაცია). მცენარეთა სახეობების ჭრის შემთხვევაში, ქმედებები უნდა დაიგეგმოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად;</p>	<p>ტაქსაციის ანგარიში მომზადდა გზშ-ს ანგარიშის სამუშაო ვერსიის გასაჯაროების შემდეგ. შესაბამისად, ვერ იქნებოდა ასახული ანგარიშის თქვენს მიერ განხილულ ვერსიაში.</p> <p>ტაქსაციის ანგარიში ექსპერტიზაზე წარსადგენ გზშ-ს დოკუმენტს ერთვის (იხილეთ დანართი 5)</p>
23.	<p>ხიდების მშენებლობასთან დაკავშირებით, გზშ-ს ანგარიშში არ არის ასახული სათანადო კვლევებზე დაყრდნობით მომზადებული ინფორმაცია წყლის ბიომრავალფეროვნებასა და წყალთან ახლოს მობინადრე ცხოველთა სახეობების საპროექტო ტერიტორიაზე არსებობის, მათზე შესაძლო ზემოქმედებისა და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილების და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ქმედებების შესახებ;</p>	<p>აღნიშნული ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ თავი 6.5</p>
24.	<p>გზშ-ს ანგარიშში არ არის ასახული ინფორმაცია პროექტის გავლენის ტერიტორიაზე არსებულ ჰაბიტატებზე ზემოქმედებისა და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების, შერბილების და საჭიროების შემთხვევაში საკომპენსაციო ქმედებების შესახებ;</p>	<p>აღნიშნული ინფორმაციისთვის გთხოვთ იხილოთ თავი 6.5</p>
25.	<p>მონიტორინგის გეგმაში არ არის ასახული ყველა სენსიტიურ ჰაბიტატსა და გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობებზე სამონიტორინგო დაკვირვების, აგრეთვე შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობაზე დაკვირვების საკითხები. საჭიროების შემთხვევაში ახალი შემარბილებელი ან საკომპენსაციო ქმედებების დანერგვა-განხორციელების მიზნით;</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია, შემარბილებელი ღონისძიებებს დაემატა <8სმ დიამეტრის დაცული სახეობის მცენარეების გადარგვა ზემოქმედების დერეფნის გარეთ, გადარგული მცენარეების მდგომარეობის შემდგომი მოვლით და მონიტორინგით.</p>
26.	<p>მონიტორინგის გეგმაში, ცხოველთა სამყაროზე ზემოქმედების ნაწილის</p>	<p>ტექსტში მოცემული მონიტორინგის სიხშირე და განმარტება 'არსებობის</p>

	<p>მონიტორინგის სიხშირის სვეტში მითითებულია - 'არსებობის შემთხვევაში', რა უნდა შესწორდეს მონიტორინგის კონკრეტული სიხშირის მითითებით. ამასთან, მონიტორინგის გეგმას ცალკე სვეტად დაემატოს სამინისტროში ანგარიშგების შესახებ ინფორმაცია;</p>	<p>შემთხვევაში' ეხება ტრავმატიზმის/ავარიის შემთხვევების დაფიქსირებას (უბედური შემთხვევების მონიტორინგს-აღრიცხვას) მათი არსებობის შემთხვევაში. ამ დაკვირვების მიზანია იძლევა დადგინდეს არსებული შემარბილებელი ღონისძიებების ეფექტურობა და განისაზღვროს დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების საჭიროება.</p> <p>შენიშვნის საპასუხოდ ცხრილში ჩაემატა ჩანაწერი ცხოველთა სამყაროს (თევზის. მაკროუხერხემლოების) მონიტორინგი ექსპლოატაციის პირველი წლის განმავლობაში - რომელიც აღნიშნული იყო შემარბილებელი ღონისძიებების ტექსტურ ნაწილში, მაგრამ გამორჩენილი იყო მონიტორინგის ცხრილში.</p> <p>ასევე დაემატა ინფორმაცია სამინისტროში წარსადგენი კვარტალური ანგარიშების შესახებ.</p>
27.	<p>მონიტორინგის გეგმაში არ არის ასახული პროექტის გავლენის არეში მობინადრე ცხოველთა სახეობებზე (განსაკუთრებით საქართველოს 'წითელი ნუსხის' დაცულ სახეობებზე) და იქთიოფაუნაზე დაკვირვების საკითხები;</p>	<p>აღნიშნული ინფორმაცია მოცემულია ქვეთავში 5.11. შენიშვნის საპასუხოდ ტექსტს დაემატა ინფორმაცია საკონტროლო ჭერების დროს დაფიქსირებული სახეობების შესახებ.</p>
28.	<p>გზმ-ს ანგარიშში არ არის ასახული ინფორმაცია გვირაბებიდან გამოტანილი და ფერდობების ჩამოჭრის შედეგად წარმოქმნილი გამონამუშევარი ფუჭი ქანების რაოდენობების, მათი მუდმივად/დროებით განთავსების ადგილებისა და პირობების შესახებ. უნდა მიეთითოს სანაყაროების დეტალური პროექტ(ებ)ის სამინისტროში განსახილველად წარმოდგენის პერიოდულობა'</p>	<p>გვირაბის გაყვანისას გამოტანილი მასალის მოცულობა საპროექტო ჯგუფის შეფასებით შეადგენს მიახლოებით 1,027,200 მ3. დაახლოებით 1,184,100 მ3 მასალა დაგროვდება მიწის სამუშაოების დროს. მასალა მაქსიმალურად იქნება გამოყენებული პროექტის საჭიროებისთვის: 1,519,800 მ3 - ვაკისის მოსაწყობად. რის შემდეგად დარჩება დაახლოებით 691,500 მ3 მოცულობის სტატიკური ბალანსი.</p> <p>გვირაბიდან ვაკისის მოწყობის უზენაამდე საშუალო მანძილი 8კმ-ია. მასალის გადატანას დასჭირდება დღეში საშუალოდ სატვირთო მანქანის 277 გზა, რაც 30 თვიანი მშენებლობის განმავლობაში ჯამში 250,000 გზას უდრის.</p> <p>სტატიკური ბალანსის დასასაწყობებლად საჭირო იქნება 82,980 მ² ფართობის ტერიტორია, 10მ სიმაღლის ყრილის მოწყობის შემთხვევაში. თუმცა, მასალის გამოყენება შესაძლებელი იქნება ქუთაისის შემოვლითი გზის მშენებლობისას ვაკისების მოწყობისთვის. მასალის დროებითი განთავსება შესაძლებელი იქნება მშენებლობისთვის უკვე შესყიდულ ტერიტორიაზე. ქუთაისის შემოვლითი გზის დერეფანში გვირაბიდან გამოტანილი მასალის გადასატანის მანძილი დაახლოებით 35კმ-ია. გადატანას დასჭირდება დღეში</p>

		საშუალოდ 128 გზა, ან, 30-თვიანი სამშენებლო პერიოდზე გადათვლით 115250 მანქანა-გზა.
29.	მშენებლობის ეტაპზე, ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარული წყაროს (მაგალითად - ასფალტის/ბეტონის კვანძი) ფუქნციონირების შემთხვევაში, საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ჰაერდაცვითი დოკუმენტაციის საქართველოს გარემოს და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმება;	იმის გათვალისწინებით, რომ გზის მშენებლობისას ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების სტაციონარულმა წყაროების (ასფალტის ქარხანა, ბეტონშემრევი და სხვა) შერჩევის და განთავსების ადგილის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნება ტენდერით განსაზღვრული მშენებელი კომპანიის მიერ, აღნიშნული დოკუმენტაციის მომზადება 'გარემოსთან მიბმის გარეშე' აზრს მოკლებულია. შესაბამისი დოკუმენტაცია მომზადდება და შეთანხმდება ტენდერში გამარჯვებული მშენებელი კონტრაქტორის გამოვლენის შემდეგ. გზშ-ს ტექსტში მოცემულია რეკომენდაციები აღნიშნული ობიექტების განთავსებისას გასათვალისწინებელი უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ.
30.	გზშ-ს ანგარიშში არ არის წარმოდგენილი გზის ექსპლუატაციის ეტაპისთვის ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების შეფასების შედეგები და გაზნევის ანგარიშის გრაფიკული მასალა, როგორც ეს მითითებულია ანგარიშში;	ანგარიშის სამუშაო ვერსიის წარდგენისას გზის ექსპლუატაციის ეტაპზე ჰაერის ხარისხზე ზემოქმედების მოდელირება დასრულებული არ იყო. შესაბამისად, ის ვერ იქნებოდა წარმოდგენილი ანგარიშში. აღნიშნული ინფორმაცია გზშ-ს დოკუმენტის საბოლოო ვერსიას თან ერთვის.
31.	ნარჩენების მართვის გეგმაში არ არის მოცემული იმ პირების შესახებ ინფორმაცია, რომელსაც გადაეცემა ნარჩენები შეგროვების, ტრანსპორტირების ან/და დამუშავების მიზნით. შესაბამისი ნებართვის ან/და რეგისტრაციის მონაცემების მიხედვით;	შენიშვნის საპასუხოდ ტექსტს დაემატა პროექტის ზონაში მოქმედი ნარჩენების მართვის უფლების მქონე კომპანიების ჩამონათვალი. მშენებელ კონტრაქტორს, არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეეძლება შეარჩიოს მისთვის სასურველი, შესაბამისი პროფილის კომპანიები და გააფორმოს მათთან ხელშეკრულება ნარჩენების უტილიზაციაზე.
32.	წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშის თავი 3.1.-ში (წინასამშენებლო (მობილიზაციის_ ეტაპი) აღნიშნულია, რომ 'სამუშაოები განხორციელდება საერთაშორისო ტენდერის მეშვეობით შერჩეული კონტრაქტორის მიერ. სამუშაოს დაწყებამდე კონტრაქტორი განსაზღვრავს/დააზუსტებს სამშენებლო მასალის, ტექნიკის და მასალის განთავსების ტერიტორიებს'. აღნიშნულიდან გამომდინარე გზშ-ს ანგარიშში სამშენებლო ბანაკთან დაკავშირებით, წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგი სახის მონაცემები: ა) სამშენებლო უბნების/ბანაკების რაოდენობა, ბანაკის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, ფართობი, ფართობის კატეგორია, ფართობის საკუთრების ფორმა, ფართობის ნიადაგური დახასიათება და გასატარებელი ღონისძიებები;	როგორც აღნიშნულია გზშ-ს ანგარიშის თავ 3.1-ში 'სამუშაოები განხორციელდება საერთაშორისო ტენდერის მეშვეობით შერჩეული კონტრაქტორის მიერ. სამუშაოების დაწყებამდე კონტრაქტორი განსაზღვრავს/დააზუსტებს სამშენებლო ბანაკის, ტექნიკის და მასალის განთავსების ტერიტორიებს'. რაც იმას ნიშნავს, რომ ის კომპანია, რომელიც ტენდერის საფუძველზე შეირჩევა სამშენებლო სამუშაოების საწარმოებლად განსაზღვრავს/დააზუსტებს სამშენებლო ბანაკის, ტექნიკის და მასალის განთავსების ტერიტორიებს. აქედან გამომდინარე აღნიშნული კომპანია წარმოადგენს: ა. მონაცემებს სამშენებლო უბნების/ბანაკების რაოდენობის, ბანაკის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის, ფართობის, ტერიტორიის კატეგორიის, საკუთრების ფორმის შესახებ, ნიადაგურ დახასიათებას და ინფორმაციას

	<p>ბ) ანალოგიური მონაცემები უნდა იქნეს წარმოდგენილი ტექნიკის, სამშენებლო მასალის განთავსების ტერიტორიებთან დაკავშირებით;</p> <p>გ) რა ფართობზე მოხდება საჭიროების შემთხვევაში ნიადაგის ნაყოფიერი ფენის მოხსნა.</p> <p>ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილ მასალას ასევე თან უნდა ერთვოდეს ზემოთ მითითებული ობიექტების სქემატური ნახაზები. აღნიშნული ინფორმაციის წარმოდგენლობის შემთხვევაში, შემთხვევაში შეუძლებელი იქნება იმ ზემოქმედების შეფასება, რომელიც მიადგება ბუნებრივ გარემოს სამშენებლო ბანაკის, ტექნიკის და მასალის ტერიტორიებზე განთავსებისას და მის ირგვლივ. გარდა ამისა, გზშ-ს ანგარიშში მოცემული ღონისძიებების რეკომენდაციებისა და ვალდებულებების შესრულებაზე პასუხისმგებლობას უნდა იღებდეს არა ტენდერის შედეგად მომავალში გამოვლენილი კომპანია, არამედ უშუალოდ საქმიანობის განმახორციელებელი. ამასთან დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს არა სავარაუდო და სამომავლო გადაწყვეტილებები არამედ კონკრეტულ ტერიტორიაზე კონკრეტული პროექტის მახასიათებლები და გადაწყვეტილებები.</p>	<p>გასატარებელ ღონისძიებების თაობაზე.</p> <p>ბ. ანალოგიურ მონაცემებს ტექნიკის, სამშენებლო მასალის განთავსების ტერიტორიებთან დაკავშირებით;</p> <p>გ. მონაცემებს მოსახსნელი ნაყოფიერი ნიადაგის ფართობის და მოცულობის შესახებ;</p> <p>დ. ზემოთ მითითებული ობიექტების სქემატურ ნახაზებს.</p> <p>ამ ეტაპზე ამ ობიექტების ზემოქმედების შეფასება შეუძლებელია.</p> <p>რაც შეეხება გზშ-ს ანგარიშში მოცემული ღონისძიებების რეკომენდაციებისა და ვალდებულებების შესრულებაზე ეს კონტრაქტორის (მშენებლის), როგორც სამუშაოების უშუალო შემსრულებლის, პასუხისმგებლობაა. ცხადია საავტომობილო გზების ზედამხედველობით. აღნიშნული პირობა სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად არის მოთხოვნილი.</p> <p>მოცემულ ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ მოთხოვნების/ რეკომენდაციების მიცემა ზემოხსენებული ობიექტების განთავსების ტერიტორიის შერჩევის, მოწყობის და ფუნქციონირებისას გარემოზე ზემოქმედების თავიდან აცილების და/ან შერბილებისთვის.</p>
33.	<p>გზშ-ს ანგარიშში, რუკებზე ლეგენდები წარმოდგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე;</p>	
34.	<p>გზშ-ს ანგარიშში განხილულია მდინარეების კალაპოტებში ქვიშა-ხრემის მოპოვების ლიცენზირებული ობიექტები. ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზშ-ს ანგარიშში უნდა მიეთითოს, დაკავშირებულია თუ არა მათი მოპოვების ზემოქმედება მდინარეთა კალაპოტებში ან მასთან უშუალოდ ახლოს ავტომაგისტრალზე არსებული ხიდების ბურჯების მოსალოდნელ გარეცხვებთან.</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია. იხილეთ გზშ-ს ანგარიშის ტექსტი - ბუნებრივი რესურსების საკითხისადმი მიძღვნილი თავი</p>
35.	<p>გზშ-ს ანგარიშის ტექსტური ნაწილი ასევე მოიცავს უზუსტობებს, რაც საჭიროებს კორექტირებას. მაგ. გამოყენებულ ლიტერატურაში პირველ ნომრად მითითებულია 'ამიერკავკასიის ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის ოპერაციები'. უნდა დაზუსტდეს რას ნიშნავს სიტყვა 'ოპერაცია'; დანართის ტომში, ხმაურის მიდელირების შედეგების - გრაფიკული გამოსახულებების წარწერები დატანილია არასწორად, რაც საჭიროებს შესწორებას; დანართი 1-ში (წყლის სინჯები) უნდა დაზუსტდეს საპროექტო წვეა-არგვეთას მონაკვეთთან რა კავშირშია მდ.სუფსისა და სეფას წყლის ხარისხის შემოწმება და სხვა.</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია.</p> <p>უზუსტობა დაშვებულია წყლის სინჯების აღების მეთოდის ნაწილში - მეთოდი სტანდარტულია და ყველა პროექტის შემთხვევაში ერთნაირი. უზუსტობა გასწორებულია.</p>
36.	<p>ცბრ.58-ში მოცემულია ინფორმაცია საპროექტო ზონის ძირითადი</p>	<p>შენიშვნა გათვალისწინებულია. იხილეთ ტექსტი</p>

	დასახლებების და მოსახლეობის შესახებ სადაც მოცემულია იმერეთის რეგიონის შესახებ ინფორმაცია. ვინაიდან, წარმოდგენილ პროექტში საპროექტო მაგისტრალი მოიცავს მონაკვეთს ქვედა წევადან არგვეთამდე, ექსპერტიზაზე წარმოდგენილ გზს-ს ანგარიშში მოცემული უნდა იყოს უშუალოდ საპროექტო მონაკვეთის შესახებ ინფორმაცია;	
	შეხვედრაზე დასმული შეკითხვები	
37.	ხომ არ გამოიწვევს პროექტი მიმდებარე ჭებში წყლის დაკარგვას?	ზემოქმედება გრუნტის წყალზე შესაძლებელია იმ უბნებზე სადაც დაგეგმილია გვირაბების მშენებლობა. ცხადია ზემოქმედების რისკის სრულად გამორიცხვა შეუძლებელია, თუმცა იმისთვის, რომ წყაროებზე 'დამოკიდებულ' მოსახლეობას პრობლემები არ შეექმნას და დროულად მოხდეს რეაგირება შესაძლო ცვლილებებზე დაგეგმილია მონიტორინგის წარმოება პროექტის მიმდებარე ჭებზე/წყაროებზე. პრობლემის დაფიქსირების შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნება დროებითი ან მუდმივი ალტერნატიული წყარო.
38.	ზესტაფონის ქარხნის მიმდებარედ ბუნებრივი წყარო ამოდის. ხომ არ მოახდენს დაგეგმილი პროექტი მასზე გავლენას?	მშენებლობის დროს წყაროს გარშემო მოეწყობა დამცავი ღობე შემთხვევითი დაზიანების თავიდან ასაცილებლად. წყაროს მახლობლად მიწის სამუშაოები (მიწის ამოთხრა) დაგეგმილი არ არის. ზემოქმედებას წყროზე ადგილი არ ექნება.
39.	გზის გაყოლებაზე განათების ლამპიონების გამო შეიცვლება ბუნებრივი განათების რეჟიმო. რა გავლენას მოახდენს ეს გადამფრენ ფრინველებზე. თუ არის გათვალისწინებული ამ ზემოქმედების რისკი	განათების რეჟიმის შეცვლა გავლენას მოახდენს ფრინველებზე. თუმცა ზემოქმედების შემცირება შესაძლებელია დაბალი მაბვის სანათების და განათების ქვემოთ მიმართვის გზით, რაც გავლენის გარკვეულწილად შერბილების საშუალებას მოგვცემს.
40.	სასურველია დამატებითი მისასვლელის მოწყობა შორაპანთან მოსახლეობის გადაადგილების გასამარტივებლად	საპროექტო ჯგუფის მიერ ეს საკითხი დეტალურად იქნა განხილული. მოსახლეობის გადაადგილება შეთავაზებული პროექტის მიხედვით არ შეიზღუდება, თუმცა, ბუნებრივია, ამჟამად არსებული მდგომარეობა ნაწილობრივ შეიცვლება.

ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთას ახალი მონაკვეთის მშენებლობის დეტალური პროექტის (E60 მაგისტრალი), სატენდერო დოკუმენტაციის, გარემოზე ზემოქმედების შეფასების და მიწის შესყიდვის დეტალური გეგმის მომზადება

DETAILED DESIGN FOR THE CONSTRUCTION OF KVHEVI-UBISA-SHORAPANI-ARGVETA ROAD (E60 HIGHWAY), DEVELOPMENT OF BIDDING DOCUMENTS, ENVIRONMENTAL IMPACT ASSESMENT AND RESETTLEMENT ACTION PLAN

SECTION F4 (KV.TSEVA-ARGVETA)/ მონაკვეთი F4-ის (ქვ.წევა-არგვეთა)

მოსახლეობასთან შეხვედრა/List of Attendees

17.01.2018

N	გვარი, სახელი	დასახლება/სოფელი	სამუშაო ადგილი	ტელეფონის ნომერი
1.	იხაედი ფიქსაღაშვილი		საქ. მართვის დეპარტამენტი	595-94-50-57
2.	ილია მურმანიძე		სახეგეოლოგ ნეჯი	591756050
2.	კობეა სევედაძე		ქვ.სევისი კომპლექსი	598600019
3.	ვინა ვაჭიფიძე		საქ. ნეჯი	593628782
4.	მედი ავაში	ქ.სევედაძე	სახეგეოლოგ ნეჯი	551-62-6162
5.	გიორგი ჭანტიაძე	ქ. შავთავ-სოფელი	საშენობრივი კომპანია	571554099
6.	ვინა სევედაძე	ქ. შავთავ-სოფელი	მენეჯერი	557 021-022
7.	ქარიელი ნიკოლოზი	ს. ვევედაძე	სახეგეოლოგ ნეჯი	599 907500
8.	ნინო ნიკი	ს. სევისი	სახეგეოლოგ ნეჯი	599 569 768

N	გვარი, სახელი	დასახლება	სამუშაო ადგილი	ტელეფონის ნომერი
9.	ბუბლაძე ვიქტორ	სოკ. ბიჭვინთი	სადასრულო ექ. ექსპ. ცენტრის ხელმძღვანელი	599-57-33-20
10.	ყაზარაძე	შეპავონი	შეპავონი-დასრულო ცენტრის ხელმძღვანელი	599147506
11.	ვარციანი	სესტავი	სესტავი სესტავი	599-04-18-01
12.	ხაბუაძე	სესტავი	სესტავი	558379621
13.	ქაჯაიძე	სესტავი	სესტავი	555-154024
14.	შაბაძე	შეპავონი	სესტავი	598-17-05-57
15.	შაბაძე	სესტავი	სესტავი	598-113-692
16.	შაბაძე	სესტავი	სესტავი	555-42-63-79
17.	შაბაძე	სესტავი	სესტავი	599-54-76-57
18.	შაბაძე	სესტავი	სესტავი	599-42-73-39

N	გვარი, სახელი	დასახლება	სამუშაო ადგილი	ტელეფონის ნომერი
29.	ჩოხუბანი ერისთავიძე		გნებოს ლეანისძე	555 426624
30.	ბერი მკვირძინაძე		"გამ კონსისტენცია"	558 119994
31.				
32.				
33.				
34.				
35.				
36.				
37.				
38.				

